

ალაზანი ჰესის 3/აგრეგატების საქარხნო სარემონტო სამუშაოების მოცულობა

1. წინა სახურავი 2400.5400.000სნ.

- არსებული წინა სახურავიდან დაზიანებული მოპირკეთების და შემამჭიდროებელი რგოლის დემონტაჟი. საჭიროების შემთხვევაში ყველა ხრახნის დაკალიბრება.
- წინა სახურავზე კავიტაციით დაზიანებული ზედაპირები დადუღდეს (ელექტროდის ტიპი 3-42) და დამუშავდეს საჭრისით ძირითადი ლითონის თანპირად
- მოპირკეთების 2400.5400.002 (12X18H10T) – 1ცალი და რგოლის 2400.5400.004 (12X18H10T) – 1ცალი დამზადება, წინა სახურავზე მონტაჟი საწყვეტი ხრახნებით 2400.5400.003 – 96ცალი დამაგრება. მოპირკეთების და შემამჭიდროებელი რგოლის ერთმანეთთან შედუღება, საწყვეტი ხრახნების თავების დადუღება (ელექტროდი O3JI-8, magmaweld EI308L).
- წინა სახურავზე, ზემოთ მითითებული დეტალების დამაგრების შემდეგ, მოხდეს მათი საბოლოო დამუშავება იხ. ნახაზი 2400.5400.000სნ. დამუშავებული სახურავიდან შედგეს ფორმულიარი.

2. უკანა სახურავი 2400.5300.000სნ.

- უკანა სახურავიდან არსებული დაზიანებული მოპირკეთების და შემამჭიდროებელი რგოლის დემონტაჟი.
- უკანა სახურავზე კავიტაციით დაზიანებული ზედაპირები დადუღდეს (ელექტროდის ტიპი 3-42) და დამუშავდეს საჭრისით ძირითადი ლითონის თანპირად
- მოპირკეთების დამზადება 2400.5300.002 (12X18H10T) – 1ცალი
- შემამჭიდროებელი რგოლის დამზადება 2400.5300.004 (12X18H10T) – 1ცალი.
- უკანა სახურავზე დამონტაჟდეს მოპირკეთება, საწყვეტი ხრახნების საშუალებით 2400.5300.003 – 96ცალი. მოპირკეთების და შემამჭიდროებელი რგოლის ერთმანეთთან შედუღება, საწყვეტი ხრახნების თავების დადუღება (ელექტროდი O3JI-8, magmaweld EI308L).
- წინა სახურავზე, ზემოთ მითითებული დეტალების დამონტაჟების შემდეგ, მოხდეს საბოლოო დამუშავება იხ. ნახაზი 2400.5300.000სნ. დამუშავებული სახურავიდან შედგეს ფორმულიარი.

3. მიმმართველი აპარატის ნიჩაბი 2400.5500.000სნ.

- მიმმართველი აპარატის ნიჩაბის კავიტირებული ზედაპირები აღდგეს დადუღებით ელექტროდი ЭА395/9.
უკანა პოჭოჭიკი დამუშავდეს და ჩაიწნეხოს უჟანგავი ფოლადის 12X18H10T მილისა. დადუღების შემდგომ, მოხდეს მ/ა. ნიჩაბის მექანიკური დამუშავება. იხ. ნახ 2400.5500.000სნ - 16ცალი.
- აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, წინა და უკანა სახურავების გამოყენებით ჩატარდეს მ/ა. ნიჩაბის საკონტროლო აწყობა. მონაცემები შეტანილ იქნას ფორმულიარში (ჩაკეტილ მდგომარეობაში მაქსიმალური დასაშვები ღრეჩო მთლიან სიგრძეზე არ უნდა აღემატებოდეს 0,05მმ).

საკონსტრუქტორო სამსახურის უფროსი

ზ. შავშიშვილი

11.12.2025წ.